წალკის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს სხდომის

ოქმი # 11

ქ. წალკა; 31.10. 2023 წ.

სხდომას თავმჯდომარეობდა – ირაკლი გიგინეიშვილი;
საკრებულოს 30 წევრიდან სხდომას ესწრებოდა 28 დეპუტატი: გოჩა ხაჩატურიან, ავთანდილ ვანაძე, რადიკ სარკისიან, ანტარამ მელტონიან, ნუგზარ ჩამურლიევი, ლევონ მარკოსიან, ზვიად გელაძე, ჯემალი ბერიძე, ჯაბა აბულაძე, მანანა გულედანი, სარკის ოგანესიან, იდა ბალაბანოვა, ალექსეი მუხსიევი, რუბენ ანესიან, მარინე ირემაძე, ჯემალ ნაკაიძე, ვუსალ უზუნალოვ, ლაერტ ტოროსიან, უშანგი ბოლქვაძე, ჯონი საბაძე, მალხაზ მგელაძე, მერაბ იაკობაძე, გურამ მგელაძე, ნოდარ ბერიძე, მამია ირემაძე, ასლან მგელაძე, ჯონი ღორჯომელაძე.

სხდომას აგრეთვე ესწრებოდნენ:

წალკის მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილე **ანზორ ხინიკაძე**
წალკის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საბიუჯეტო სამსახურის უფროსი **ამირან საყვარელიძე**.

სხდომა დაიწყო: 11:00 სთ;
სხდომა დასრულდა: 11:45 სთ;

დღის წესრიგის პროექტი:

1. დადგენილების პროექტი „საქართველოს კანონით „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი", საქართველოს კანონით „ნარჩენების მართვის კოდექსი" გათვალისწინებულ ცალკეულ სამართალდარღვევაზე საჯარიმო ქვითრის – ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის ფორმის, მისი შედგენის, გამოყენებისა და აღრიცხვა-ანგარიშგების წესის დამტკიცების შესახებ" წალკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 31 ივლისის №15 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ";

2. განკარგულების პროექტი „წალკის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან 2023 წლის ოქტომბრის თვის საკრებულოს წევრების უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურების შესახებ".

სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა დღის წესრიგის პროექტს;
საკრებულოს ღია კენჭისყრით (28 მომხრე, 0 წინააღმდეგი) ერთხმად დაამტკიცა
სხდომის დღის წესრიგი.

დღის წესრიგი:

1. დადგენილების პროექტი „ადგილობრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზების ნუსხის დამტკიცების შესახებ“ წალკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 4 მარტის #4 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე;

/მომხსენებელი: ანზორ ხინიკაძე წალკის მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილე;

/თანამომხსენებლები: ნუგზარ ჩანურლიევი სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარე, ლევონ მარკოსიან ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხების კომისიის თავმჯდომარე, მანანა გულედანი ფრაქცია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო“-ს თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელი/;

2. განკარგულების პროექტი „საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან დასაფინანსებელი წალკის მუნიციპალიტეტში განსახორციელებელი ინფრასტრუქტურული საპროექტო წინადადების მოწონების შესახებ“;

/მომხსენებელი: ამირან საყვარელიძე წალკის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი;

თანამომხსენებლები: ზვიად გელაძე, საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე, ნუგზარ ჩანურლიევი სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარე, მანანა გულედანი ფრაქცია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო“-ს თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელი /;

3. განკარგულების პროექტი „საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში წალკის მუნიციპალიტეტში დასახლებების მიხედვით მუნიციპალიტეტისათვის განსაზღვრული თანხის განაწილების შესახებ“ წალკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 31 მაისის #გ-119.119231512 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე;

/მომხსენებელი: ანზორ ხინიკაძე წალკის მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილე;

თანამომხსენებლები: ნუგზარ ჩამურლიევი სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარე, მანანა გულედანი ფრაქცია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო“-ს თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელი/;

4. განკარგულების პროექტი „წალკის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან 2023 წლის აგვისტოს თვის საკრებულოს წევრების უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურების შესახებ“;

/მომხსენებელი: ზვიად გელაძე საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე/;

სხდომამ განიხილა:

1. დადგენილების პროექტი „ადგილობრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზების ნუსხის დამტკიცების შესახებ“ წალკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 4 მარტის #4 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე;

მომხსენებელმა: ა.ხინიკაძემ საკრებულოს გააცნო დადგენილების პროექტი;

თანამომხსენებლებმა: ნ.ჩამურლიევმა საკრებულოს გააცნო სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის დასკვნა დადგენილების პროექტზე, ლ.მარკოსიანმა ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხების კომისიის დასკვნა დადგენილების პროექტზე, მ.გულედანმა ფრაქცია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო“-ს დასკვნა განკარგულების პროექტზე;

საკრებულოს წევრებს აღნიშნულ დადგენილების პროექტთან დაკავშირებით მომხსენებლებთან შეკითხვები, ან შენიშვნები არ გააჩნიათ.

დადგენილება მიღებული იქნა ხმათა უმრავლესობით (24 მომხრე, 0 წინააღმდეგი), (დადგენილება #16 თან ერთვის);

2. განკარგულების პროექტი „საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან დასაფინანსებელი წალკის მუნიციპალიტეტში განსახორციელებელი ინფრასტრუქტურული საპროექტო წინადადების მოწონების შესახებ";

მომხსენებელმა: ა.საყვარელიძემ საკრებულოს გააცნო განკარგულების პროექტი;

თანამომხსენებელმა:ზ.გელაძემ საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის დასკვნა განკარგულების პროექტზე, ნ.ჩამურლიევმა საკრებულოს გააცნო სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის დასკვნა განკარგულების პროექტზე, მ.გულედანმა ფრაქცია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო"-ს დასკვნა განკარგულების პროექტზე;

საკრებულოს წევრებს აღნიშნულ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით მომხსენებელთან შეკითხვები, ან შენიშვნები არ გააჩნიათ.

განკარგულება მიღებული იქნა ხმათა უმრავლესობით (24 მომხრე, 0 წინააღმდეგი), (განკარგულება #გ-119,11923243001თან ერთვის);

3. განკარგულების პროექტი „საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში წალკის მუნიციპალიტეტში დასახლებების მიხედვით მუნიციპალიტეტისათვის განსაზღვრული თანხის განაწილების შესახებ" წალკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 31 მაისის #გ-119.119231512 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე;

მომხსენებელმა: ა.ხინიკაძემ საკრებულოს გააცნო განკარგულების პროექტი;

თანამომხსენებლებმა: ნ.ჩამურლიევმა სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების და ინფრასტრუქტურის კომისიის დასკვნა განკარგულების პროექტზე, მ.გულედანმა ფრაქცია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო"-ს დასკვნა განკარგულების პროექტზე;

საკრებულოს წევრებს აღნიშნულ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით მომხსენებელთან შეკითხვები, ან შენიშვნები არ გააჩნიათ.

განკარგულება მიღებული იქნა ხმათა უმრავლესობით (24 მომხრე, 0 წინააღმდეგი), (განკარგულება #გ-119. 119232432 თან ერთვის);

4. განკარგულების პროექტი „წალკის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან 2023 წლის აგვისტოს თვის საკრებულოს წევრების უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურების შესახებ"

/მომხსენებელი: ზ.გელაძემ საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარემ საკრებულოს გააცნო აღნიშნული განკარგულება;

საკრებულოს წევრებს აღნიშნულ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით მომხსენებელთან შეკითხვები, ან შენიშვნები არ გააჩნიათ.

განკარგულება მიღებულ იქნა ხმათა უმრავლესობით (25 მომხრე, 0 წინააღმდეგი) (განკარგულება #გ-119.119232433 თან ერთვის);

სხდომის თავმჯდომარე ი.გიგინეიშვილი ი.გიგინეიშვილი